KA030153577306420

№ 01-9256 **01 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის“ ძირითად სახელშეკრულებო დოკუმენტებშია მითითებული, COVID-19-ზე საპასუხოდ მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში გამიზნულია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი **ჰოსპიტალური დონის ეროვნული დაწესებულებების მზადყოფნის გაძლიერება და სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობისა და აღჭურვილობის შესყიდვა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებისა და განახლების მიზნით.** ამ მიმართულებას პსოფლიო პანდემიის პირობებში ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების კუთხით პროექტის ფარგლებში გამოკვეთილ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

შესაბამისად, მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფმა (PIU) წარმართა კონსულტაციები და სხვადასხვა შეფასებითი ღონისძიებები, რათა განესაზღვრა საპასუხო ღონისძიებებში განსაკუთრებით აქტიურად ჩაბმული დაწესებულებების შემდგომი საჭიროებები და მოემზადებინა შესყიდვათა პაკეტი, რომელიც სწრაფად და ეფექტურად უზრუნველყოფდა პირველ რიგში გამოკვეთილი ჰოსპიტალური დაწესებულებების მზაობას COVID-19-ის შემდგომი სავარაუდო ტალღებისთვის.

წარმოგიდგენთ საჭიროებების ნუსხასა და შესაბამისი შესყიდვების დასაბუთებას (დანართი #1; მიმდინარე წლის აგვსტოს კორესპონდენციები N01-8722, N01-8820, N01-6284, No 01-892820, N86926) შემდეგი ჰოსპიტალური კლინიკებისათვის:

შ.პ.ს „აკ. ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ (რუხის რესპუბლიკური ჰოსპიტალი),

შ.პ.ს „ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო“,

ს/ს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი,

შ.პ.ს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ქუთაისი),

სსიუ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, და

ს/ს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება.

წარმოდგენილი პაკეტით (იხ. თანდართული აღჭურვილობის ნუსხა - დანართი #2) მოწოდებულია მხოლოდ არსებითად საჭირო და აუცილებელი აღჭურვილობის შეძენა ზემოთ აღნიშნული დაწესებულებებისთვის, მათში გადაუდებელი დახმარების განყოფილებების სრული დაკომპლექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს COVID-19 პაციენტების შეუფერხებელ მიღებას და მათთვის თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტის შესაბამისი ხარისხიანი მომსახურების გაწევას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამინისტრო უფლებას იტოვებს აღჭურვილობის სხვა ჰოსპიტლებში გადანაწილებაზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ჰოსპიტლების მზაობა ტექნიკის მისაღებად ვერ იქნება მიღწეული.

ასევე, ნუსხაში, ამ ეტაპზე, შეტანილია აღჭურვილობის ჩამონათვალი სსიუ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკისათვის, რომლის შესყიდვაც ასევე იქნებოდა მიზანშეწონილი, თუ აღნიშნული კლინიკა მოახერხებს ინფექციური პათოლოგიების განყოფილების გამართვას გამიზნულ ვადებში.

სარგებლობის შესაძლო მექანიზმები. აღნიშნული ორგანიზაციის სათაო რეგიონულ და ადგილობრივ ოფისებთან აქტიური თანამშრომლობით, ცალკე მომზადდა იმ აღჭურვილობის პაკეტი, რომლის შესყიდვაც შესაძლებელია განხორციელდეს გაეროს საპროექტო მომსახურების ოფისის დონეზე არსებული გრძელვადიანი გლობალური ხელშეკრულებების (UNOPS Global LTAs) გამოყენებით, სადაც ცალკეა გამოყოფილი იმ საჭიროებათა ნუსხა, რომლის შესყიდვაც, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ზემოთაღნიშნული გლობალური გრძელვადიანი ხელშეკრულებების მექანიზმით, რაც ერთდროულად იძლევა მოთხოვნილი მაღალტექნოლოგიური აპარატურის დროული და ხარისხიანი შესყიდვის მნიშვნელოვან გარანტიებს.

გთხოვთ აქვე განიხილოთ საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისის (UNOPS) ხელშეკრულების პროექტი (დანართი #3) ამ ეტაპზე გლობალური გრძელვადიანი შეთანხმების (LTA) ფარგლებში, რომელიც შედგენილია მსოფლიო ბანკთან ხსენებული ორგანიზაციის გლობალური ხელშეკრულების შაბლონისა და მომსახურების პირობების გამოყენებით,

დამატებით გვინდა გაცნობოთ, რომ შ.პ.ს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ (ქუთაისი), ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება ცენტრის კუთვნილი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისათვის, რაც ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის“ ფარგლებში.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის“ განმახორცილებელ ერთეულს გასაფორმებლად მოამზადოს ზემოთაღნიშნული შეთანხმება და ჩამოთვლილი პრიორიტეტული ჰოსპიტალური დაწესებულებების აღჭურვისათვის შესყიდვები განახორციელოს მსოფლიო ბანკსა და გაეროს საპროექტო მომსახურების ოფისს (UNOPS) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ასევე გთხოვთ გაეროს საპროექტო მომსახურების ოფისთან (UNOPS) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის განხილვა დაავალოთ შესაბამის სამსახურებს, კომპეტენციის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია